დანართი 1

სდასუ
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

_____

_____ 2. 2017 წ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება

თბილისი
2017

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, ნორმატიული აქტებით და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და უნივერსიტეტის რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამსახურის დანიშნულება, საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუქნციები

2.1 სამსახურის დანიშნულებაა:

ა) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში პროგრამების მომზადება, მართვა და ორგანიზება;

ბ) სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის და სპორტის პერსპექტიული განვითარების გეგმების შემუშავება და განხორციელება.

2.2 სამსახურის საქმიანობა მოიცავს სპორტის და ახალგაზრდობის სფეროებს.

2.3 სამსახურის ამოცანაა:

ა) სტუდენტების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება;

ბ) ფიზიკური აღზრდის და სპორტის სფეროში თანამედროვე მეთოდების დანერგვა, სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

გ) უნივერსიტეტის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა და შემდგომი განვითარება;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაბამისი პროგრამების დაგეგმვა და შესაბამის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე ზრუნვა;

ე) საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობა;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის ამოცანების განხორციელების მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, სპორტულ ფედერაციებთან, ასოციაციებთან და კავშირებთან უცხოეთის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის განვითარება მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების კოორდინაციისა და ხელშეწყობის მიზნით.

2.4 სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ფუნქციებია:

ა) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება და მისი პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტ სპორტსმენთა მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა ქვეყანაში გამართულ სხვადასხვა სპორტულ და მაღალი რანგის შეჯიბრებებში;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უცხოეთის უნივერსიტეტების სპორტულ ორგანიზაციებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება;

დ) ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა და მათთვის სხვადასხვა მასშტაბისა და ტიპის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა;

ე) ახალგაზრდობის სფეროში კრეატიული პროგრამების მომზადება, მართვა და ორგანიზება;

ვ) სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა საქმიანობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა;

ზ) ახალგაზრდების პრობლემებთან დაკავშირებით კვლევითი საქმიანობის განხორციელება, პრიორიტეტული საკითხების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება;

თ) საერთაშორისო და ადგილობრივი ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვა, განხორციელება;

ი) სტუდენტ ახალგაზრდებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება და მონაწილეობა;

კ) სტუდენტებში მოხალისეობის ინსტიტუტისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით პროექტების წახალისება და ხელშეწყობა;

ლ) სტუდენტური ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამების შემუშავება;

მ) სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, იძულებით გადაადგილებული, სპეციალური საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ნ) თბილისის მერიის, სხვა უწყებების, უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;

ო) ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარება სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან;

პ) უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვა, ორგანიზება და პოპულარიზაცია;

ჟ) შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება;

რ) სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა;

ს) აქტიური თანამშრომლობა უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, აგრეთვე შესაბამის არასაუნივერსიტეტო სტრუქტურებთან;

ტ) სპორტული კლუბების შექმნა და სამოყვარულო გუნდების საქმიანობის ხელშეწყობა;

უ) სტუდენტების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე ზრუნვის ხელშეწყობა;

ფ) სტუდენტებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება და სტუდენტული ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ქ) სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, სტუდენტების შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;

ღ) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა, საინიციატივო ჯგუფებისათვის მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების, ახალგაზრდული დღეების, თამაშობების ორგანიზებაში დახმარების აღმოჩენა;

ყ) სტუდენტური კავშირებისათვის, სოციალურად დაუცველი, აგრეთვე სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებით გამორჩეული სტუდენტებისათვის ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონცერტების, ფესტივალების, გამოფენების, ოლიმპიადების, საქველმოქმედო აქციებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობა;

შ) სტუდენტების საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობისათვის და ასევე უცხოელ სტუდენტებთან დამეგობრების ხელშეწყობა და ამ მიზნით გაცვლითი პროგრამების განხორციელება;

ჩ) სპორტული ტურნირებისთვის სავალდებულო დოკუმენტაციის მომზადება და განაცხადის წარდგენა საორგანიზაციო კომიტეტში;

ც) სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

3.1 სამსახური არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული, მას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

3.2 სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3.3 სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის განვითარებასა და მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, ახალგაზრდობის და სპორტის საკითხების მართვასა და კოორდინაციას.

3.4 სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას, პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ)მოქმედებს სამსახურის სახელით, წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) ამ დებულების შესაბამისად სამსახურის საქმიანობის მიმართულებათა მართვის მიზნით განსაზღვრავს სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციებს, კომპეტენციებსა და პასუხისმგებლობას;

დ) თვალყურს ადევნებს თანამშრომელთა მოვალეობების შესრულებასა და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ე) სამსახურის თანამშრომლებს უქმნის მათი მოვალეობების შესრულებისათვის და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვისათვის აუცილებელ პირობებს;

ვ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს უნივერსიტეტისა და წინამდებარე დებულებებით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ზ) უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში პროგრამების მომზადებას, მართვას და შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებას;

თ) სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის, სპორტის და სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა და განხორციელება.

3.5 მთავარი სპეციალისტის ფუნქციები:

ა) დახმარებას უწევს უფროსს სამსახურის ამოცანების შესრულებასა და მისი ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) სტუდენტ ახალგაზრდებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

გ) სტუდენტური ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერაში მონაწილეობის მიღება;

დ) თბილისის მერიის, სხვა უწყებების, უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობაში მონაწილეობის მიღება;

ე) მონაწილეობა ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებაში სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან;

ვ) უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაციაში მონაწილეობა;

ზ) სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა;

თ) სტუდენტებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება და სტუდენტული ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

მუხლი 4. სამსახურის რეორგანზიაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების გზით.